ხელშეკრულება N289

ქ. დმანისი **დეკემბერი 2023 წელი**

ერთის მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - „შემსყიდველი”), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს „კოლექტიკა“ (ს.კ 405195710) (შემდგომში - “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის ელენე გიორგობიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP230003089 თანხმობის და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 დეკემბერი N2279 განკარგულების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საახალწლო და მიმდინარე წლის შემაჯამებელი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 დეკემბრის №2168 განკარგულების თანახმად - საქართველოს მთავრობის ინიციატივით და მხარდაჭერით ქ. დმანისში ჩასატარებელი საახალწლო ღონისძიების მომსახურების შესყიდვა, რომლის დეტალური აღწერა განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართში.

1.2. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 დეკემბრის N2168 განკარგულების შესაბმისად პროექტის " ახალი წლის დღეები საქართველოში" ფარგლებში ქალაქ დმანისში ჩასატარებელი ღონისძიების ორგანიზების მომსახურება ((დანართის შესაბამისად (CPV79952000 - ღონისძიებების ორგანიზება)).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, მათ შორის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართევლოს კანონით განსაზღვრული ჰონორარი, რომლის გადახდა ეკისრება “მიმწოდებელს”.

3.3. მომსახურების/საქონლის დასახელება, დეტალური აღწერილობა, მოცულობა და ფასები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართში.

4. მომსახურების ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2023 წლის 25 დეკემბერს;

4.3. . მომსახურების შესრულების განხორციელების ადგილია: ქვემო ქართლი, ქ. დმანისი.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. 4.2 მუხლით განსაზვღული მომსახურების გაწევის შემდგომ, მხარეებს შორის გაფორმდება ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტი რეგიონების/ქალაქების მიხედვით, რომელიც უნდა დადასტურდეს შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია - მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ომიაძე, ხოლო შემსრულებლის მხრიდან დირექტორი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის ნომერზე.

6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის შემსრულებელმა უნდა წარადგინოს 5.1 მუხლის შესაბამისად გაფორმებული ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა შემსყიდველისათვის.
6.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, 6.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.5. მიმწოდებელის მხრიდან 6.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში, საქონლის მოწოდების დამთავრების მეორე დღიდან 2(ორი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი კარგავს მოწოდებულ საქონელზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო.
6.5. ანგარიშსწორებას შემსყიდველი ორგანიზაცია განახორციელებს 2023 წლის ადგილობირვ ბიუჯეტში გათალისწიენბული თანხიდან
6.6. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს წინასწარი ანგარიშსწორების უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო (საავანსო) გარანტია, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100% (არაუმეტეს 100 000 ლარის ოდენობით) რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას და რომლის დაქვითვაც მოხდება ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.
6.7. უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები
7.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებითა და მისი დანართით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ნებისმიერ დროს, შეამოწმოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების პირობების შესრულება, ვადები, მოცულობა და ხარისხი.
7.3. შემსრულებელი ვალდებულია:
ა) დროულად, ხარისხიანად და დათქმულ ვადებში გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
ბ) შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნაკლო.
გ) წერილობითი ფორმით, დროულად, გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე მომსახურების დათქმულ ვადებში შესრულებასა ან/და შეთანხმებულ ხარისხს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი შეფერხება მომსახურების მიწოდების პროცესში.
დ) საკუთარი ხარჯებით, დაუყოვნებლივ, უზრუნველყოს შემსყიდველის წარმომადგენლების მიერ გამოვლენილი დეფექტების, ხარვეზების, ნაკლოვანებების, დაგვიანების შემთხვევების აღმოფხვრა, რათა ხელი არ შეეშალოს დაგეგმილი ღონისძიების დათქმულ ვადებში შეთანხმებული ხარისხით ჩატარებას.
ე) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია სრულად.
ვ) მუდმივად იმყოფებოდეს სატელეფონო კავშირზე.
7.4. შემსრულებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების/უხარისხოდ შესრულების/ხელშეკრულების 4.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან/და საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების დათქმულ ვადებში შესრულებას, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
8.4. შემსრულებლის მიერ უხარისხოდ გაწეული მომსახურებით მიყენებული ზიანისათვის, თუ დასტურდება, რომ ზიანი გამოიწვია შემსრულებლის ქმედებამ, პასუხისმგებლობა მიყენებულ ზიანზე სრულად ეკისრება შემსრულებელს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2024 წლის 10 მარტის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)
11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით ფორმით მიზეზის მითითებით, ან სატელეფონო შეტყობინებით, რომელიც უნდა დაადასტუროს შემდგომ წერილობითი ფორმით.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
12.1. მომსახურების გაწევის პარალელურად ან/და მომსახურების შემდეგ შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება.
12.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს - მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ომიაძე.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა
13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებელთან ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი ან/და სატელეფონო შეტყობინების შემდეგ, თუ:
ა) შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, შეთანხმებული მოცულობით ან/და ხარისხით არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
ბ) შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რის შესახებაც ცნობილი გახდა შემსყიდველისათვის.
გ) მომსახურება ან/და დანართში ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება უხარისხოდ იქნა გაწეული.
ე) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.
ვ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.
ზ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**შემსრულებელი**
დმანისის მუნიციპალიტეტი **მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41** **საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391** **საბანკო რეკვიზიტები:** **სახელმწიფო ხაზინა TRSGE22** **ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022** **ტელ.: 0(360) 22-11-53** **დმანისის მუნიციპალიტეტის მერი** DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2023.12.20 10:24:19 +04'00' ----------**კობა მურადაშვილი**	შპს „კოლექტიკა“ ს.კ 405195710 მისამართი: ქ.თბილისი ი.აბაშიძის N3 საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი:TBCBGE 22 ანგარიშის ნომერი: GE72TB7479736020100004 **დირექტორი:** Elene Giorgobiani 01008055216 Digitally signed by Elene Giorgobiani Date: 2023.12.20 13:45:35 ----------**ელენე გიორგობიანი**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2023 წლის №289 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ კობა მურადაშვილი

მერიის განათლების, კულტურის,
სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა
სამსახური-პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი _____ ნინო ომიაძე

COLLECTICA
EVENTS

ინვოისი

დასახელება: შპს „კოლექტიკა“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405195710
მისამართი: ქ. თბილისი, ი.აბაშიძის №3
დირექტორი: ელენე გიორგობიანი (პ/ნ:01008055216)

საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:TBCBGE 22
ანგარიშის № : GE72TB7479736020100004

#	ღონისძიების კომპონენტები	ერთ. ღირებულება	რაოდენობა	ჯამი
	ღონისძიების სივრცე			
1	მასკოტების მომსახურება	950	8	7 600
2	კოსტიუმირებული თოვლის ბაბუა	1 000	1	1 000
3	თოვლის ბაბუის დამხმარე გოგოები	600	2	1 200
4	წამყვანი ანიმატორი, აპარატურით	1 200	1	1 200
5	მაგიდების იჯარა	60	6	360
6	სკამების იჯარა	10	30	300
7	დახლების იჯარა	350	10	3 500
8	გამათბობლების იჯარა	70	18	1 260
9	სასაჩუქრე ნაკრები ბავშვებისთვის დასარიგებლად	18	300	5 400
10	საკვები ზონის დასაჯდომი სივრცე	150	10	1 500
11	მაგიდების გაფორმება	50	10	500
	ტერიტორიის გაფორმება			
12	დეკორატიული ზოლებიანი ინსტალაცია	466,5	16	7 464
13	ფოტო ზონა - მარხილი	3 500	1	3 500
14	ფოტოზონა/დეკორაცია ოთახი	4 330	1	4 330
15	ჯიხურების დეკორაცია	417	6	2 502
16	საბავშვო სახელოსნო კარვის მოწყობა	8 332	1	8 332
17	საახალწლო ვორქშოფის აქტივობები	5 000	1	5 000
18	გირლიანდა განათება	12	150	1 800
19	ფერადი ალმები	4,1	300	1 230
20	ვორქშოფისთვის მაგიდების იჯარა	60	4	240
21	ვორქშოფის გაფორმება	1 000	1	1 000
	ტერიტორიაზე სხვა საჭიროებები			
22	დასუფთავება	450	1	450
23	დაცვა	800	2	1 600
	საორგანიზაციო ჯგუფი			
24	ორგანიზატორები	1 745	1	1 745
25	ლოკაციის მენეჯერი	2 200	2	4 400
26	ტექნიკური პერსონალი	1 000	5	5 000
27	სამივლინებო ხარჯი	1 800	1	1 800
28	დეკორატორი	1 000	1	1 000
29	ღონისძიების მხატვარ/დიზაინერი	1 500	1	1 500
30	მონტაჟი/დემონტაჟი	1 500	1	1 500
31	ტრანსპორტირების ხარჯი	2 497	1	2 497
	ჯამი			**80 710**
	მომსახურება		5%	**4 036**
	დღგ		18%	**15 254**
	სულ ჯამი			**100 000**

Elene Giorgobiani 01008055216
Digitally signed by Elene Giorgobiani
Date: 2023.12.13 15:18:21